ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ც-1/გ 89-17

„23" 01 2017 წ.

დადგენილება №000789 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

23.01.2017წ.

ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ ვლადიმერ ყუშიტაშვილმა განვიხილე 2017 წლის 23 იანვრის №000789 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. "ჯი დი დეველპმენტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №204550333, დირექტორი გიორგი დარჩიაშვილი, პირადი №01026017366, პროკურისტი მალხაზ ბიწაძე, პირადი №01006003422, მის: ქ. თბილისი, გ. კვინიტაძის ქ. №8) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ხეამლის ქ. №8, ნაკვეთი №1/8-ში (საკ. კოდი №01.13.08.001.008) შ.პ.ს. "ჯი დი დეველპმენტი"-ს მიერ განხორციელდა სასტუმროს მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №1463167 AR1238455 04.09.2014წ. №2807717 AR1435188 02.09.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „5-1" ფასადი: ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი, ასევე შეცვლილია მათი ნახატი. +16.00 ნიშნულზე მინის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური მოაჯირი. +12.90 ნიშნულის ზევით გაუქმებულია ბუტაფორიული ვიტრაჟები. „2-1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. „1-5" ფასადი: შენობის ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების რაოდენობა, გაბარიტები და ნახატი. „3-5" მონაკვეთში შეცვლილია დიაგონალურად დახრილი ფილის მოპირკეთების ფორმა და გაბარიტები. „გ-ა" ფასადზე დამატებით მოწყობილია შენობის განათება. „ა-გ" ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ნახატი. შეცვლილია ფასადების მოპირკეთების გაბარიტები და მასალა. -3.100 ნიშნული: „2-3" მონაკვეთში გაუქმებულია კიბე და კედლის მონაცვლებით შემცირებულია ფართი 3.5 მ²-ით. „3-4" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლიფტი. „1-2" მონაკვეთში „ბ-ა" ღერძებს შორის შეცვლილია კიბის კონფიგურაცია და გაბარიტები. „ა-გ" მონაკვეთში კედლის მონაცვლებით შემცირებულია შენობის ფართი 8 მ²-ით. „4-1" მონაკვეთში „ბ-ბ" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია წყლის რეზერვუარი და მიწისქვეშა დამხმარე ფართი 5მ²-ით (სიმაღლე 3.5მ), ასევე აღნიშნულ ფართში დამატებულია ლითონის კიბე. გაზრდილია სართულის სიმაღლე 0.25 მ-ით. ±0.00 ნიშნულზე: „1-5" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ფორმა და გაბარიტები. „ბ-ბ" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია ტრანსფორმატორი, ლითონის

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

კონსტრუქციები, დანადგარები, გამწოვი მილები და გენერატორი. პროექტში არ არის ნაჩვენები „გ-გ“ ღერძის გარეთ მოწყობილი ლუქები და ტერიტორიის შემომსაზღვრელი არსებული ღობე. „2-3“ მონაკვეთში „ბ-ა“ ღერძებს შორის ხის გარშემო დამატებით მოწყობილია მოხოლითური ფილა. +3.60 ნიშნულზე „2-3“ მონაკვეთში „ბ-ა“ ღერძებს შორის ხის გარშემო დამატებით მოწყობილია მოხოლითური ფილა. „ა-ა“ ღერძის გარეთ შეცვლილია ხის გარშემო ღიობების გაბარიტები და შემცირებულია ღიობების რაოდენობა. +12.90 ნიშნულზე „4-5“ მონაკვეთში შეცვლილია პროექტით გათვალისწინებული სავენტილაციო შახტის გაბარიტები და დამატებულია ერთი შახტა. „4-5“ მონაკვეთში „ა-გ“ ღერძებს შორის შეცვლილია ტერასის გაბარიტები და დამატებით მოწყობილია ქვით მოპირკეთება. +16.00 ნიშნულზე „გ-ბ“ მონაკვეთში „4-1“ ღერძებს შორის დამატებით მოწყობილია საქვაბე, რომელიც შეფუთულია და გადახურულია სენდვიჩპანელით. +28.400 ნიშნულზე, შეცვლილია სავენტილაციო შახტების ფორმა, რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვს ადგილი. ასევე დამატებულია სატელიტური თეფშები. „2-3“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სახურავზე ამოსასვლელი. გადახურვაზე დამატებულია დანადგარები, ასევე გამწოვი და საკომუნიკაციო მილები. შენობაში შეცვლილია სავენტილაციო შახტების რაოდენობა და გაბარიტები, ასევე შეცვლილია კოლონების და მოხოლითური კედლების რაოდენობა. ასევე მოხოლითურ კედლებში შეცვლილია ღიობების რაოდენობა და მონაცვლებული აქვთ ადგილი. შენობაში შეცვლილია კოლონების ღერძებს შორის მანძილი, კოლონების ფორმა და გაბარიტები, ასევე დამატებულია რიგელები. „5-5“ ღერძზე გაზრდილია კედლის სიგრძე. შეცვლილია შენობის გაბარიტები. არსებული ხეების და შენობის ურთიერთმდებარეობა არ შეესაბამება საპროექტოს. „2-3“ მონაკვეთში „ბ-ა“ ღერძებს შორის შენობის მთელ სიმაღლეზე დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია. „2-3“ მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. სართულებზე +3.600 ნიშნულის ზევით „ა-ა“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია აივნების ფილა. პროექტში არ არის ნაჩვენები „ა-გ“ მონაკვეთში, +12.90 ნიშნულიდან ზევით სართულებზე მოწყობილი კონსოლური ფილები.

2017 წლის 23 იანვარს საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის “ხ” პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000789 “სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის №425998/07 01.12.2016წ. წერილი; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. “ჯი დი დეველპმენტი”-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) I-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.გ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ხვამლის ქ. №8, ნაკვეთი №1/8-ში (საკ. კოდი №01.13.08.001.008) შ.პ.ს. “ჯი დი დეველპმენტი”-ს მიერ განხორციელდა სასტუმროს მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №1463167 AR1238455 04.09.2014წ. №2807717 AR1435188 02.09.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის I-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის

მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ჯი დი დეველპმენტი" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ჯი დი დეველპმენტი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ჯი დი დეველპმენტი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე ვ. ყუშიტაშვილი

განცხადება/თანხმობა

ქ. თბილისი

თარიღი: 17.05.2016წ.

დანიშნულებისამებრ წარსადგენად

მე, **იულია ლეა დრუიან** (დაბადებული: 16.05.1972წ. ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქე. ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქის პირადი ნომერი: 3-1187161-0, პასპორტის ნომერი: 21974993, გაცემული: 29.01.2015წ. მოქმედების ვადა: 28.01.2025წ. გაცხადებული მისამართი: ისრაელი, დასახლება ომერი, ბარკანის ქუჩა N11), ვადასტურებ, რომ სრულად, გავეცანი 2016 წლის 13 მაისის **გ. კვინიტაძის (ხვამლის) 10-ის ბინათმესაკუთრეთა საერთო კრების ოქმს №01** (დოკუმენტზე ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული: 13.05.2016წ. ნოტარიუსის ნინო უბერის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 160499368) შინაარს. **შესაბამისად, ვეთანხმები, ამ კრებაზე** დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებას (კრებამ გადაწყვიტა: მიეცეს თანხმობა შპს „ჯიდი დეველოპმენტს" (ს/კ: 204550333) მის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო მიწის ნაკვეთზე კოდით: 01.13.08.001.008 - მის. ხვამლის ქ. №8-ში მშენებარე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისას, ბინათმესაკუთრეთა მოსაზღვრე მხარეს (გ. კვინიტაძის/ხვამლის №10) მოაწყოს ღიობები, კარი, ფანჯარა, სამტრედე, კედელში არსებული სხვა ღია ნაწილი, აივანი, ერკერი და ტერასა).

განცხადება/თანხმობა დაწერილია ჩემი კარნახით, გამოხატავს ჩემს ნებას, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

იულია ლეა დრუიან _____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160513869
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.05.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო უბერი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის ქ. #4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(995 32) 231 23 11
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	38191941959616

საქართველო

ორიათას თექვსმეტი წლის ჩვიდმეტ მაისს, მე, ნინო უბერი, ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის ქ. N4, ვამოწმებ სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირის: იულია ლეა დრუიანის (დაბადებული: 16.05.1972წ. ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქე. ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქის პირადი ნომერი: 3-1187161-0, პასპორტის ნომერი: 21974993, გაცემული: 29.01.2015წ. მოქმედების ვადა: 28.01.2025წ. გაცხადებული მისამართი: ისრაელი, დასახლება ომერი, ბარკანის ქუჩა N11) ხელის მოწერის ნამდვილობას მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე: სამ ეგზემპლარად შედგენილი განცხადება/თანხმობა (ქ. თბილისი, 17.05.2016წ.). ხელმოწერა დოკუმენტზე შესრულებულია ხელმომწერის მიერ, პირადად, ნოტარიუსის თანდასწრებით, მას შემდეგ რაც მას განემარტა ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის შინაარსისა და მასში წარმოდგენილი ფაქტების დადასტურებას.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 31-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, თითოეული ეგზემპლარისათვის გადახდილია სანოტარო საზღაური: 2 (ორი) ლარი, შესაბამისად, სამი ეგზემპლარისათვის: 6 (ექვსი) ლარი, დღგ: 1.08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2 (ორი) ლარი - ჯამში: 9.08 (ცხრა ლარი და რვა თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო უბერი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

გ.კვინიტაძის (ხვამლის) 10-ის ბინათმესაკუთრეთა
საერთო კრების

ო ქ მ ი #01

ქ. თბილისი

13 მაისი 2016 წელი

გ.კვინიტაძის (ხვამლის) 10-ის ბინათმესაკუთრეთა საერთო კრებას ესწრებოდა ბინათამესაკუთრეთა 2/3-ზე მეტი შემადგენლობა.

კრება გაიმართა ქ. თბილისი, გ.კვინიტაძის (ხვამლის ქ. #10-ში) ქ. 10;

დღის წესრიგი: თანხმობის გაცემა;

კრებამ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „ჯიდი დეველოპმენტს“ ს/ნ 204550333 მის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო მიწის ნაკვეთზე კოდით 01.13.08.001.008, მის: ხვამლის ქ. #8-ში, მშენებარე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისას, ბინათმესაკუთრეთა მოსაზღვრე მხარეს (გ.კვინიტაძის/ხვამლის #10) მოაწყოს ღიობები: კარი, ფანჯარა, სამტრედე, კედელში არსებული სხვა ღია ნაწილი, აივანი, ერკერი და ტერასა.

გ.კვინიტაძის (ხვამლის) ქუჩა 10-ის ბინათმესაკუთრეები

გულნაზი კაიშაური (პ/ნ 01030035293) – გულნაზი კაიშაური

ნოდარ ნაკაიძე (პ/ნ 01005007438) – ნოდარ ნაკაიძე

ბონდო დვალიშვილი (პ/ნ 01005003776) – ბონდო დვალიშვილი

რევაზ სახვაძე (პ/ნ 01005004818) – რევაზ სახვაძე

ირმა ქაცარავა (პ/ნ 01008031710) – ირმა ქაცარავა

ლარისა ჭავჭავაძე (01005003972) – ლარისა ჭავჭავაძე

იულია ლეა დრუიანი (311871610) -

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160499368
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.05.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნინო უბერი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის ქ. #4**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(995 32) 231 23 11
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	01505663473116

საქართველო

ორიათას თექვსმეტი წლის ცამეტ მაისს, მე, ნინო უბერი, ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის ქ. №4, სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მიმიწვიეს მისამართზე: ქ. თბილისი, გ. კვინიტაძის ქ. (ხვამლის ქ.) №10. აღნიშნულ მისამართზე ჩემს წინაშე წარსდგნენ სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირები: გულნაზი კაიშაური, ნოდარ ნაკაიძე, ბონდო დვალიშვილი, რევაზ სახვაძე, ირმა ქაცარავა და ლარისა ჭავჭავაძე. მე დავამოწმე გულნაზი კაიშაურის (დაბადებული: 15.12.1951წ. პირადი №01030035293. მისამართი: ქ. თბილისი, ხვამლის ქ. №10), ნოდარ ნაკაიძის (დაბადებული: 08.12.1942წ. პირადი №01005007438. მისამართი: ქ. თბილისი, ხვამლის ქ. №10), ბონდო დვალიშვილის (დაბადებული: 01.07.1938წ. პირადი №01005003776. საქართველოს მოქალაქის პასპორტის №08AH67941, გაცემული: 11.08.2008წ. მისამართი: ქ. თბილისი, გ. კვინიტაძის ქ. №10), რევაზ სახვაძის (დაბადებული: 20.10.1955წ. პირადი №01005004818. მისამართი: ქ. თბილისი, ხვამლის ქ. №10), ირმა ქაცარავას (დაბადებული: 16.01.1970წ. პირადი №01008031710. მისამართი: ქ. თბილისი, შ. რადიანის ქ. №20, ბინა №7) და ლარისა ჭავჭავაძის (დაბადებული: 10.02.1948წ. პირადი №01005003972. მისამართი: ქ. თბილისი, ხვამლის ქ. №10) ხელის მოწერის ნამდვილობას მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე: გ. კვინიტაძის (ხვამლის) 10-ის ბინათმესაკუთრეთა საერთო კრების სამ ეგზემპლარად შედგენილი ოქმი №01 (ქ. თბილისი, თარიღი: 13.05.2016წ.). ხელმოწერები დოკუმენტის თითოეულ ეგზემპლარზე შესრულებულია ხელმომწერების მიერ, პირადად, ნოტარიუსის თანდასწრებით, მას შემდეგ, რაც მათ განემარტათ ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის შინაარსისა და მასში წარმოდგენილი ფაქტების დადასტურებას.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, თითოეული ეგზემპლარისათვის გადახდილია სანოტარო საზღაური: 12 (თორმეტი) ლარი, შესაბამისად, სამი ეგზემპლარისათვის: 36 (ოცდათექვსმეტი) ლარი, სანოტარო ბიუროს გარეთ მომსახურების საფასური: 10 (ათი) ლარი, დღგ: 8.28 (რვა ლარი და ოცდარვა თეთრი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2 (ორი) ლარი - ჯამში: 56.28 (ორმოცდათექვსმეტი ლარი და ოცდარვა თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო უბერი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18